


რედაქცია

სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, პირველ კლასიკურ გიმნაზიის უკან.
ჩუკის-ძაწერა, მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: В. Тифлисъ, 17 редакцію «Дრობისა»
«დროების» ფასი
მთელის წლისა . . . 9 მან. სამის თვისა . . . 3 მან.
ექვსის თვისა . . . 5 მან. ერთის თვისა . . . 1 მან.



შასი ბანსხადეობისა

სტრუქონზე რვა კაბ. განცხადება მიიღება ქართულს რუსულს და სხვა ენებზე.
თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეაპოვებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბუნებს ავტორს.

ბაგოდის ქოველ დღე ორშაბათს ბარდა.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკა

«დროების» რედაქცია გადავიდა ახალს სადგურში. სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, პირველ კლასიკ. გიმნაზიის უკან.

არწრენის თეატრი.
ოთხშაბათს, 26 ოქტომბერს
ძარბაზის რეპერტუარი
წარმოდგენილი იქნება
პირველად
სომხების თანამოგზაური
ძამელია ოთხ მოქმედებად და ხუთ სურათად, რუსულიდან გადმოკეთებული ა. მ. მოჩნუბარძისაგან.
დასაწყისი 8 საათზე. (2—2)

ტალახაგები
(«ჩრდილოეთის საავტორისა».)

24 ოქტომბერს.
პატივსაცემი. დღეს სახელმწიფო რჩევას მეორე სხდომა ექნება უნივერსიტეტის წესდების შესახებ; ამ სხდომაზე მოწვეულნი იქნებიან ექსპერტებად სახალხო განათლების სამინისტროს რჩევის წევრნი ლიებოძოვი და გეორგიევსკი.
გაზეთები იუწყებიან, რომ ნოემბერში განიხილავენ პოსტის დე-

პარტამენტის დირექტორის პერტიკულივის აპელიაციურს საჩივარს.
პიბატა. ვიატკაზე ეინული მოდის; 5° ეინვა არის.
პარლი. მდინარე კამა მთლად ეინულით მოცულია; 14° ეინვა არის.
უშა. მდინარე ბელოიზე ეინული მოდის; მარნილები დაიარებიან.
ბარლინი. გუმინ მოვიდა აქ ავსტრიის მეგვიდრე პრინცი მეუღლითურთ.

თბილისი, 25 ოქტომბერს.

ორს წელიწადზე მეტია, რაც რუსეთში მუშაობს ესრედ წოდებული ქაზანოვის კომისია, რომელსაც მთავრობისაგან მინდობილი აქვს რუსეთის ადგილობრივი მმართველობის განხილვა და გარდათვლიერება და მისთვის ახალის საფუძვლებისა და წესების შემუშავება. ხსენებულს კომისიას უკვე დაუბოლოვებია თავისი შრომა და შეუძუ შევებია მთავრობისაგან მინდობილი საქმე. რუსეთში კარგა ხანია, რაც გრძობდნენ, რომ ადგილობრივი მმართველობა და სხვა საზოგადოებრივი დაწესებულებანი ვერ იდგნენ მკვიდრსა და ჯეროვანს ნიადაგზე. მწერლობა და საუკეთესო საზოგადო მოღვაწენი სულ იმასა სჩიოდნენ, რომ ადგილობრივი მმართველობა ვერ ასრულებს თავის დანიშნულებასა, რომ ერობა ერთობ

ფრთა-შეკვეცილიაო, როგორც საკუთარს წესებს გაურკვეველობით, აგრეთვე გარემე პირობებით, რომელნიც სრულიად ეწინააღმდეგებან თვით-მმართველობის დედა-აზრსაო. მართი ჩივილი სრულიად საფუძვლიანი იყო, რადგანაც რუსეთში ადგილობრივი თვით-მმართველობა ერთად შეიწროებულა; ეს გარემოება ცხადია ყველასათვის, ვისაც კი თვალ-ყური უდევნება რუსეთის თვით-მმართველობის ისტორიისათვის.

შოველ ამ მიზეზების გამო რუსეთის ინტელიგენციამ და მწერლობამ დიდის სიტარულით მიიღო მთავრობის განზრახვა შესახებ ადგილობრივი მმართველობის გარდათვლიერებისა. თავიდანვე ძნელი სათქმელი იყო, თუ რა მიმართულებას დაადგებოდა ქაზანოვის კომისია; დღეს კი გამოქყვეყნებულია ის საფუძვლები, რომელნიც საუკეთესოდ უცენია ქაზანოვის კომისიას, რომლის შრომას შეუძლიან შესამჩნევად შესცვალოს რუსეთის თვით-მმართველობის ბედი, თუ კი კომისიის დედა-აზრი პატივდებაში მიღებულ იქნა და გზაზედ არა გარდაელობა-რა. თუ მხედველობაში ვიქოქონიეთ, რომ კოზანოვის კომისია არჩეულ იქნა მთავრობისაგან, მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ, რომ მთავრობაც უყურადღებოდ არ დასტოვებს კომისიის დედა-აზრს და უსათუოდ იხელომდვანელებს მით ადგილობრივი მმართველობის და თვით-მმართველობის გარდაკეთების საქმეში.

მხლა საჭიროდ ერაცხთ გავაცნოთ მკითხველებს ზოგიერთა მიზეზი, რომელთ შემოღება ქაზანოვის კომისიას საჭიროდ დაუნახავს ერობის წარმატებისათვის. ღღემდის ერობა ისეთს პირობებში იყო მოქცეული, რომ იგი თითქმის ხორცმეტად გარდაიქცა, რადგანაც ზოგიერთა დაწესებულებანი ავიწროებდნენ ერობის მოქმედებას და უნაყოფოდ ჰხდიდნენ. ქაზანოვის კომისიის აზრით კი ყველა საზოგადო და აღმინისტრაციული დაწესებულებანი მაზრაში შეადგენენ საერთო დაწესებულებას, და ერობას მიენიჭება ხელმძღვანელობა სამაზრო მმართველობაში; ამის გამო, იმავე კომისიის აზრით, ერობის მოქმედება უფრო დამაუჯიდებელი შეიქმნება; იმ საერო საქმეთა რიცხვი, რომელნიც ექვემდებარებოდნენ მთავრობისაგან განხილვასა და დამტკიცებასა, შემცირებული უნდა იყოს, ესე იგი ერობის უფლებები და მოქმედების ასპარეზი უფრო განფართოვდება.

ზემოხსენებული ზომა, უეჭველია, ნაყოფიერი იქნება ერობისათვის და თავიდან ააცილებს იმ განხეთქილებას, რომელიც ხშირად ჩამოვარდება ხოლმე ერობისა და მთავრობის შორის. ამ გვარად ერობის უფლებების განფართოება იგულისხმებს, იმავე კომისიის აზრით, ისეთის უფლების მინიჭებასაც, რომლის ძალით ამ უკანასკნელს შეუძლიან იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე შესახებ დადგენისა და შეცვლისა სხვა-და-სხვა კანონთა, რომელნიც ადგილობრივს საქმი-

«დროების» ტელეგრაფი, 26 ოქტომ

მეფის ძარბაზის მსოფენი!

(თავად მინგრესკის საქმეების გამო*)

სამეგრელოში, სენაკის მაზრაში, სოფ. შახურას სცხოვრობს რამდენიმე კომლი ღარიბი აზნაური, გვარად ბეგელიები; ამათ წინაპართ, მთავრობის დროს ბრიგოლ ღადიანისა, ჰქონათ სამეგრელოს მთავარზედ დიდი დამსახურება და ამისთვის მთავარს ბრიგოლ ღადიანს 1804 წელში მიუცია სიგელი და დაუმტკიცებია მათ საკუთრებად მათსავე სოფლის სამხლდარში ერთი ტყიანი მთა, სახელდობ ჭებაის მთა. ამ მთას ბეგელიები ისე ხმარობდნენ, როგორც შეეძლოთ უწინდელს დროში. თუმცა სიგელი არის გაცემული 1804 წელში, მაგრამ ბეგელიებს ყოველთვის თავ-თავის დროზედ წარუდგენათ ეს სიგელი ახალ მთავრებთან, რომელნიც იყენენ შემდგომ ბრიგოლ ღადიანისა, მაგალითად, ლევან ღადიან-

თან და უკანასკნელს მთავართან ღადიანთან, რომელიც იყო მამათ. ნიკოლოზ მინგრესკისა.
ამ მთავრებს თავ-თავის დროზედ განუხილავთ ეს სიგელი და ხელახლად დაუმკვიდრებიათ ბეგელიებისათვის ეს მთა ახალის გადაწყვეტილობით. ამ გვარი იყო ბეგელიების მდგომარეობა 1870 წლამდე. ამ წელიწადში ჩამობანდა პეტერბურგიდან თ. ნიკოლოზ მინგრესკი იმ უფლებით, რომელიც მე ადვოკატე ზემოთ. მმართველათ თავის საქმეებისა და მამულისა დანიშნა ბ. ტერ-სტეფანოვი, რომელიც უწინ იყო მომრიგებელ მსაჯულის თანაშემწედ სენაკის მაზრაში, დაუნიშნა მას რვა ასი თუმანი წლიური ჯამაგირი და მისცა სრული ვეჟილობა მის მაგივრად ყოველ გვარის საქმის წარმოებისა. ამის შემდეგ თ. ნიკოლოზ მინგრესკი ისევ წაბანდა პეტერბურგში. მა იყო იმ დროს, როდესაც თ. მინგრესკი დაუმოყვრდა გრაფს ადლერბერგს და შეერთო მისი ქალი. ბრაფი იყო უმახლობელესი საყვარელი მინისტრი გარდაცვალებულის იმპერატორი ალექ-

სანდრე II-სა. სამეგრელოში საცხოვრებლად დარჩა მშობელი თ. მინგრესკისა, მთავრინა მკატირინე ღადიანისა (ჰავჭავაძის ასული), რომელსაც ჰქონდა ყველგან დიდი გავლენა და პატივი; ყოველ გვარ მმართველობის წარმომადგენელ პირებთან საქმის დასაქვრად დედოფალსა ჰყავდა ამ დროს ერთი აზნაური, სახელდობ მომა ახვლედიანი, რომელსაც ჰქონდა სრული მინდობილება ყოველივე მისი საქმეებისა. ხსენებული მომა ახვლედიანი დღესაც მმართველია თ. მინგრესკის მამულისა და თითქმის იგივე გავლენა აქვს საქმეებზედ, როგორც მთავრინა მკატირინეს დროს. (მთავრინა მკატირინე გარდაიცვალა წარსულს წელს). ამ ბატონს ახვლედიანს და ტერ-სტეფანოვს მოსწონებიათ ბეგელიების მდებრიის ტყე და განიზრახნენ მისი დასაკუთრება თ. ნიკოლოზ მინგრესკის სახელზედ; ამ განზრახვით 1870 წელს, როცა თ. მინგრესკი რუსეთში იყო, მომა ახვლედიანის განკარგულებით, რამდენიმე შეიარაღებულნი პირნი დაეცნენ ბეგელიებს და ძალით გამო-

დენეს საწყალი ბეგელიები თავიანთ საკუთარს ტყიდგან; მოხდა ერთი ხმლის ტრიალი, ცემა-ტყევა; ბოლოს თ. მინგრესკის მომხრეებმა აჯობეს ძალით, და დაინარჩუნეს ბეგელიების ტყე იმ აზრით, რომ ბეგელიები აღარ უნდა შეეშვათ თავიანთ ტყეში. ამ დროს ბეგელიები ჩამოვიდნენ მუთაისში და მკითხეს რჩევა ამ საქმეზედ, შემომვიცეს, რომ თუ შენ რიგიან რჩევაზედ არ დაგვყენებ, მინგრესკის ვეჟილებს ამოგწყვეტათ ცოლ-შვილიანათაო და მერე რაც უნდა დაგვემართოსო. შეჭველია, მე მოვიქეცი ისე, როგორც მაწვედა ჩემი სინიღისი,—მე ამათ ჩხუბი და ძალადობა არ ვუტრჩიე და დავარიგე, რომ იგინი მიქცეულიყვნენ სამართლის წინაშე; დავარწმუნე, რომ სამართალი ენლა ყველასთვის ერთია და თუ მათსიმართლე აქვთ, არ დაეკარგებათ და ის ტყე ისევე დაუბრუნდებათ მალე სამართლის წესით. ამ დარბეების შემდეგ, რომელიც უფროსები იყვნენ და მოხუცებულები დამეთანხმნენ, მაგრამ მაშინვე კი წამოსთქვეს სიმართლე: ჩვენ კი ჩვენ სიცოცხლეში

*) იხ. «დროება» № 212.

როგანს შეეხებინა. სახალხო განათ-
ლებას ეხება მომეტებული გავლენა
ეძლევა ერობას; მას მიენდობა დამო-
უკიდებელი და სრული გამგეობა პირ-
ველ-დაწყებითის განათლებისა; დღემ-
დის კი ერობას მრავალი დაბრკო-
ლება მისცემია თავის მოღვაწეობაში
სახალხო განათლების წარმატებისა-
თვის. რუსეთის ზოგიერთა ერობებს
დიდის სიმხურვალით უშრომნიათ ამ
საქმისათვის, მაგრამ მიზნება გამო-
სხვათა და სხვათა მათს ნაყოფიერს
მოქმედებას ფრთხილ ეკვეცებოდა.

ზარდა ყოველივე ამისა, ქანაოვის
კომისიას ყურადღება მიუქცევია
ამორჩევითი ცენზისათვისაც, რომლის
ძალით ერობაში ხმა ეძლევა მხო-
ლოდ კარკის ქონების მფლობელთ,
რის გამოც ერობას ხშირად სრუ-
ლიად უმეცარი და პირადი ინტერე-
სების მიმდევარი ხალხი განაგებდა;
განათლების მქონენი კი იმავე ცენ-
ზის ძალით გავლენას მოკლებულნი
იყვნენ, რადგანაც განათლების ხა-
რისხი უფლებას არ აძლევს ერობაში
ხმაიქონიონ.

ამ გვარი გარემოება, რომელიც
სტოვებდა ასპარეზის გარეშე განათ-
ლებულს ელემენტს და მით სხაგრავ-
და ერობას, კომისიას მხედველობაში
მიუღია და საქმედ უცენია უპირა-
ტესობის მიცემა განათლების ხარის-
ხისათვის წინაშე ქონებრივი ცენზისა.
თუკი კომისიის აზრი განხორციელ-
და, დიდს ცვლილებას მოახდენს
ერობაში, რადგანაც გზას მისცემს სა-
ზოგადო საქმეში უფრო განვითარე-
ბულს და გონიერს ელემენტს. კომი-
სიას აგრეთვე საქმედ და სასარგებ-
ლოდ არ უცენია მთავრობისაგან და-
ნიშნულთა პირთა და თავდაზნაუ-
რობის წინამძღოლთა თავმჯდომე-
რეობა ერობის ყრილობებში.

ქანაოვის კომისიის აზრით ერობა
უნდა შეიქმნეს სახელმწიფოში მართ-

ლადაც თვით-მომქმედი ძალა და არ
უნდა შეადგენდეს ხორცმეტსა. ამ
გვარ პირობებში მოქცეული ერობა,
უეჭველია, დიდს სარგებლობას მოუ-
ტანს სახელმწიფოშიც და ხალხსაც;
მას მიეცემა საშუალება ხალხის ყო-
ველი წოდების პოტენცილების და
საჭიროების დაკმაყოფილებისა. უეჭ-
ველია, რომ რუსეთის განათლებული
საზოგადოება და მწერლობა სიამოე-
ნებით უნდა მოელოდენ ქანაოვის
კომისიის დედა-აზრების განხორციე-
ლებას.

შინაური ძროხისა

ქალაქში ბევრსა ლაპარაკობენ
კვირა საღამოს საზაფხულო თეატრ-
ში მომხდარ სკანდალზედ ორს ახალ-
გაზდა აღმინისტრაციასთან დაახლოვე-
ბულ პირთა შორის. უსიამოვნობა
აქტრისების თაობაზედ მოსელიათ და
ერთმანეთისათვის სილაც უკადრე-
ბიათ. ამბობენ ეს შეტაკება დუელით
გათავდაო.

შოთიღამა გვწერენ, რომ იქ
ორჯერ გაუმართავთ წარმოდგენა
საქველმოქმედო განზრახვით, ერთი
რუსული, მეორე ქართული. ქართუ-
ლად წარმოუდგენიათ «ძუნწი» და
«ბუტიობა» საქალებო სკოლის სა-
სარგებლოდ. ამ საქმეში მხურვალე
მონაწილეობას იღებდა თურმე ქ. მახ-
რამოვისა. ორსვე წარმოდგენაზედ
ხალხი ბევრი დასწრებია და 400 მა-
ნეთამდე შემოსულა.

მართმა სოხუმშიდამ მოსულმა
პირმა გვიამბო, რომ იქაურ ერთად
ერთს მთიელებისათვის გამართულს
სავაჟო სასწავლებელში სწავლა მხო-
ლოდ 15 ოქტომბერს დაწყებულა.
ამის მიზეზი ის ყოფილა, რომ სას-

ში არავითარი სიგელი ძეიბის მთაზედ
არ ჰქონიათო, მაგრამ რადგანაც მე-
დამოწმებული კაპიო წარვადგინე
სასამართლოში და აგრეთვე სხვა სა-
ბუთებიც, რომელნიც ტერ-სტეფანოვს
სახეში არა ჰქონდა, ამის მიზეზით
მეთაისის ოლქის სასამართლომ გა-
ნიხილა სიმართლე ბეგელიებისა ამ
საბუთების ძალით და მიანიჭა საკუთ-
რად ძეიბის მთა; ეს იყო 1874
წელსა. აქ მე მომყავს შინაარსი იმ
წარწერილობისა ბეგელიების თხოვ-
ნაზედ და აგრეთვე რუსული თარგმა-
ნი მათი, რომლის ძალითაც მეთაისის
ოლქის სასამართლომ იცნო ძეიბის
მთა ბეგელიების საკუთრებად. აი ის
წარწერილებანი.

პირველზედ თვით დავით დანიანის
ხელით ასეა: «რადგანაც ამა არზასა
შინა განცხადებული საქმე, განხილ-
ვისამებრ ამასთანავე წარმოდგენილისა
საბუთებისა, აღმოჩნდა სისრულეში,
მის გამო მიიღების ესე პატრედებაში,
რომელი ამაზედ წარწერილობითა
იცნობას მთხოვნელთა.

მთავარი მინგრელიის დავით.
№ 2774.
28 სექტემბერს 1846 წელსა.

წავლებელს შეეკება ეკირვებოდა
თურმე და ეს შეეკება სექტემბერში
დაუწყეთა. ზაფხულში სადიყენენ!

რუსული გაზეთების სიტყვით,
მთავრობას მიუქცევია ყურადღება
იმ ქურთების მდგომარეობისათვის,
რომელნიც მეტადრე მრეწვის გუბერ-
ნიაში სცნობენ და განუზრახავს
მათი მართვა მოაქციოს ერთის პირის
ხელში, რომელსაც მზრუნველი ერქ-
მევა.

შეცდომის გასწორება. ამ დღე-
ებში ჩვენს გაზეთში იყო ნათქვამი,
რომ ზორის მაზრის უფროსი დაპირ-
და ზემო-ქართლებს—იმერეთსა და
ქართლს შუა ზორის სტანციიდან
გზას გაგიყვანებთო. ამ ცნობაში უნ-
და ყოფილიყო «ზომის» სტანცია და
არა «ზორისა».

ქართული თეატრი.

(20 ოქტომბერს. — შემოსავლიანი
ადგილი. — საღამოს ერთი ცხვირი
ხეირია. — საც გინასაკს კვლავ ნა-
ხე).

დროების მკითხველებმა იციან,
რომ ოცს ამ თვისას ქართულმა
დრამატიულმა დასმა გამართა წარ-
მოდგენა რუსეთის გამოჩენილი დრა-
მატურგის, პ. მსტროვსკის, პატივ-
საცემლად. «დროებაში» დაწერილ-
ებით აღწერილი იყო ეს ფრიად შე-
სანიშნავი დღე და ის გულ-წრფელი
აღტაცება, რომელიც გამოიჩინა ქარ-
თველმა საზოგადოებამ, როცა მას
თვალ-წინ უდგა რუსეთის მწერლო-
ბის ერთი საუკეთესო წარმომადგე-
ნელთაგანი. პოველივე ამაზე არა-
ფერს არ ვიტყვით; აქ საქმედ
გრაჯებთ მოვილაპარაკოთ თვით წარ-
მოდგენაზე და იმაზე, თუ როგორ

მს საბუთი მეთაისის ოლქის სასა-
მართლოს დაფიცებულის თარჯიმა-
ნისაგან არის გადათარგმნილი ასე:

«Такъ какъ обстоятельство (дѣло),
въ семь прошеніи изложенное, по раз-
смотрѣннн предстаетенныхъ при оному
документовъ оказалось дѣйствитель-
нымъ (приведеннымъ въ исполненіи
или совершеннымъ), то потому при-
нимается оно въ уваженіе, очемъ над-
писью на семь же объявляется про-
сителямъ.»

Владѣтель Мингрелии Давидъ.
28 сентября 1846.
№ 2774.

ამ არზის შემდგომ 15 ოქტომ-
ბერს იმავე წელსა, ერთ თვეზედ უფ-
რო აღრე, მეგრელებს მიუცაათ კი-
დე შემდგომი არზა, რომელზედაც
დავით დანიანის საკუთარის ხელითვე
წარწერილია:

«მენგრელიის უზენაესს სასამართ-
ლოს.»

«მას სასამართლოს გადაეცემ ამას-
თანავე წარმოდგენილს მთავრისაგან
ბოძებულს წიგნს მთის ძეიბის და
შემდგომს ამას შინა განცხადებულის

ალასრულა ჩვენი თეატრის დასმა თა-
ვისი მოვალეობა სახელმწიფო სტუმ-
რის წინაშე. საქმედ თვით წარმო-
დგენას მივაქციოთ ყურადღება, რად-
განაც მსტროვსკი, ვითარცა დრა-
მატურგი, უეჭველია, მომეტებულს
ყურადღებას მიაქცევდა ჩვენის დასის
ხელოვნებას და გამოცდილებას, ელ-
რე ჩირადლებსა და ბენგალის ცე-
ცხლს.

პირველად წარმოადგინეს თვით
მსტროვსკის პიესის ერთი მოქმედე-
ბა (შემოსავლიანი ადგილი). სწორედ
ჩინებული აზრი იყო თვით სტუმრის
საუკეთესო პიესის წარმოდგენა, რად-
განაც საკუთარის პიესის დანახვით
ქართულ სცენაზე პატივცემული სტუ-
მარი უფრო კარგად დააკვირდებოდა
ჩვენის არტისტების ხელოვნებას და
უფრო ჯეროვნად დააფასებდა. უნ-
და ვთქვათ მართალი, რომ არტის-
ტებმა რიგიანად შეასრულეს თავიან-
თი მოვალეობა და დაუმტკიცეს სა-
ზოგადოებას და სტუმარს, რომ მათ
შეუძლიანთ წარმოდგინონ ისეთი
პიესაც, როგორც არის, მაგალი-
თად, «შემოსავლიანი ადგილი», თუ
კი საქმეს ერთგულად მოეკიდებიან
და მეცადინეობას არ დააკლებენ.
«შემოსავლიანი ადგილის» მეორე
მოქმედებაში ავტორი გვიხატავს რუ-
სეთის ძველს ჩინოვნიკობას და ძველს
ოჯახობას, რომლებშიაც სრულიად
არ მოიპოვება არავითარი დაუმახინ-
ჯებელი გრძობა და აზრი შესახებ
სამსახურისა, დედ-მამის და ცოლ-
ქმრის მოვალეობისა, სიყვარულისა
და სხვ. და სხვა. პიესის მეორე მოქ-
მედებაში მოთამაშეთა შორის უპირ-
ველესად მოვიხსენიოთ უმთავრესი
როლების აღმასრულებელნი, სახელ-
დობრ, ვ. აბაშიძე (იუსოვი), ნ. მა-
ბუნიანი—ცაგარელისა (ტუტუშკინის) და
მ. საფაროვისა (იულინკა). პირველი
თამაშობდა ძველს ჩინოვნიკს, რომ-
ლის ტიპი შეუმუშავებია რუსეთში

ადგილისას დაინახოს მთავრის ბოძე-
ბულება მასშინა სიმტკიცესა შინა-
მისსა, დაუტევოს მთხოვნელისადმი
თავის სამძღვრებით.

მთავარი მენგრელიის დავით.
№ 2917.
15 ოქტომბერს 1846 წ.
გორდი.

მს წარწერა არის მეთაისის ოლქის
სასამართლოში ამ გვართ გადათარ-
გმნილი:

Верховному Управленію Мингрелии.
«Этому Управленію передаю при
семь жалованную Владѣтелемъ бума-
гу на гору «Квибія» и въ дальнѣй-
шемъ, относительно объясненнаго въ
ней мѣсть, да усмотритъ владѣтельное
пожалованіе въ твердой его силѣ и
оставитъ просителямъ въ своихъ гра-
ницахъ.»

Давидъ Дадіанъ.
15 октября 1846 года.
№ 2917.

თ. დიმიტრი თუმანიშვილი.
(დასასრული ხვალ)

რეფორმების წინა ეპოქას. მ. აბაშიძეს, ეტყობოდა, თავისი როლი კარგად შეეგნო და ამიტომაც რიგიანად გაატარა თამაშობა. მქვენი თვალწინ გიდგათ ძველი კანცელიარიის ჩინოვნიკი, რომელსაც თავისი ბუნებრივი გრძობა და გონება შემოღვევია კანცელიარიაში მელანთან ერთად და რომელსაც ზედმიწევნით შეუსწავლია უფროსებისადმი მორჩილება და უმცროსების ხელში დაქვერა. პიესის მეორე მოქმედებაში იუსოვი წარმოგვიდგება იმ დროს, როცა იგი უამბობს პუკუშინის ქვრივს თავის სამსახურის ისტორიას, კეთილცხოვრების წესებს და უმცროსებთან განწყობილებას. მაყურებელს თვალწინა ჰყავს წელ-მოქნილი ჩინოვნიკი, მორჩილი უფროსის წინაშე და სასტიკი ხელქვეითთათვის. ბ. აბაშიძემ კარგად გაატარა თავისი როლი და სჩანდა, რომ მას შეეგნო იუსოვის ბუნება და ხასიათი; ის ცდილობდა და ღინჯად და დარწმუნებით ესაუბრა პუკუშინის ქვრივთან, რომელსაც ფრიად მოსწონს იუსოვის ყოველივე აზრი და რომელიც ცდილობს იუსოვის დახმარებით თავის ქალების საქმე გააწყოს; იუსოვის, როგორც ძველის დროის ჩინოვნიკის, შევდლო. ერთი თავის ხელქვეითთათვის ესადავს ქალი შეერთო. ბ. აბაშიძეს ერთი ნაკლულევა ეტყობოდა იუსოვის როლში: მას აკლდა სიღინჯე და მომეტებულად კარიკატურული შეხედულება და ქცევა ჰქონდა. რასაკვირველია, ამ გარემოებას მას ბრალად ვერ ჩაუთვლით, რადგანაც დამოკიდებულება აქვს მის ნიჭთან და ბუნებრივს მიხვრა-მოხვრასთან.

5. ბაბუნია—საგარლისა თამაშობდა ქვრივსა, რომელიც ყოველს ღონისძიებას ხმარობს გასაღოს თავისი ქალები და ამისათვის ცდილობს ახალგაზდა კაცებს ხაფანგი უფოს; ქალებსაც ასწავლის, თუ როგორ უნდა მოიქცნენ ახალ-გაზდა კაცთან, რომელიც საქმროდ გამოსადგება. ბაბუნია-საგარლისამ პუკუშინის როლი რიგიანად ითამაშა.

მ. საფაროვისა თამაშობდა უმცროსს და გამოუცდელ ახალ-გაზდა ქალს, რომელიც დედის ქადაგებას და რჩევას ჯერ ვერ გაურყენია. იგი თავის ინსტიქტების ძალით ვერ ურიგდება ჯერ-ჯერობით იმ წრეს, რომელშიაც მოქცეულია. საფაროვისა საზოგადოთ მშვენიერად თამაშობს ახალ-გაზდა ქალების როლს; ამ გზობითაც ჩვეულებრივ კარგად ითამაშა.

მზლა ერთი სიტყვა მელიქოვის ქალზედაც, რომელიც თამაშობდა პოლინკას როლს (იულინკას და). მს მოთამაშე სცენაზე ახლად გამოდის და, როგორც დავაყირდით მის თამაშს, უნდა ვსთქვათ, რომ ეს ახალი მოთამაშე თეატრისათვის გამოსადგება, რადგან სცენისათვის საჭირო თვისებები აქვს, რომელთა შემუშავება და წარმატება მოთამაშეს შეუძლიან შრომის და რიგიანი ხელმძღვანელობის საშუალებით. მელი-

ქოვისას ერთი ნაკლულევა აქვს, ის ვერ ახერხებს რიგიანად ქართულს ლაპარაკს, მაგრამ ეს ნაკლულევა ბაც თავიდან ადვილად ასაკლებელია. საზოგადოდ უნდა ვსთქვათ, რომ «შემოსავლიანი ადგილი» ისე რიგიანად გაატარეს მოთამაშეებმა, რომ თვით მსტროვსკომ, რომელსაც თავის პიესებში უნახავს რუსეთის საუკეთესო მოთამაშეები, მოიწონა ჩვენი არტისტების თამაში და მადლობა გამოუცხადა რიგიანად წარმოდგენისათვის.

შემდეგ «შემოსავლიანის ადგილისა» ითამაშეს ბ. სუნდუკიანცის ვოდველი; ჩვენ არ გვესმის რისთვის აირჩიეს ეს ვოდველი სათამაშოდ; ამ პიესაში არც არავითარი აზრია, არც ჩვენი ცხოვრება იხატება მასში და არც ისე სასაცილოა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ უფრო შესაფერი იქნებოდა ისევე ჩვენი ცხოვრებლად ამოღებული პიესა ეთამაშნათ. ბ. აბაშიძე ამ ვოდველში თამაშობდა ვაჭარსა, ბაბუნია მის ცოლსა და საფაროვისა—ქალსა. სამივემ კარგად ითამაშა; ბ. მშვე კო, რომელიც მეორე ვაჭარსა თამაშობდა, სწორედ სცენაზე გამოსადგები არ იყო; არც მისი მიხვრა-მოხვრა, არც ლაპარაკი და არც სახის გამოხატელობა არ შეფეროდა არც სცენასა და არც როლსა. მშვეს თამაშობამ სრულიად გააქარწყლა უიმისოთაც უაზრო ვოდველის მნიშვნელობა; მან სრულიად უაღაგოდ და უმართებულად ჩაურთო ვოდველში თავისი საკუთარი ლექსები და სცენები და მით უფრო გააფუტა თამაში. საზოგადოდ უნდა ვთქვათ, რომ მშვე სრულიად არ არის მოთამაშე და მას მხოლოდ შეუძლია საზოგადოებას თავი მოახვროს და სხვების თამაში სრულიად გააფუტოს.

ბოლოს ითამაშეს ბ. საგარლის პიესის («რაც გინახავს ევლარ ნახავს») ერთი მოქმედება; ეს მოქმედება ერთობ ვაგრძელებული სურათია; სცენისათვის გამოსადგებლად მას კარგი შემუშავება ეჭირება; უამისოდ ის ვერასოდეს ვერ მოახდენს მაყურებელზე ჯეროვანს შთაბეჭდილებას. მას ამ პიესაში სიმბხილვე ეტყობა, მხოლოდ ავტორს ალაგ-ალაგ გარდაუტარებია. მოთამაშეები ამ პიესაში ურიგონი არ იყვნენ. მომეტებულად ყურადღების ღირსი იყო ბ. მ. აწუვერელი, რომელიც ახლად გამოდის სცენაზე. ამ მოთამაშეს ნამდვილი სცენიკური ნიჭი ეტყობა და ამ უკანასკნელს წლების განმავლობაში ჩვენს დრამატულს დასს უკეთესი მოთამაშე, ჩვენს აზრით, ბევრი არ შეუძენია. ამ დებიუტანტის თამაშს ჩვენ სხვა დროს დავუბრუნდებით.

აქ ერთი გარემოება უნდა მოვიხსენიოთ, რომელიც თუშკა არ შეეცნება ამ წერილის საგანს, მაგრამ მაინც შენიშვნის ღირსია. საღამო ოცს ოქტომბერს სრულიად მსტროვსკისა უნდა ყოფილიყო. საზოგადოების რომელიმე ნაწილი კი დიდის ტამის-კვრით იხმობდა ბ. სუნდუკიანცს და

საგარელს; ამათი გამოხმაობა სრულიად მეტი იყო, ვერ იმისთვის, რომ საღამო იყო გამართული მსტროვსკის პატივსაცემლად, მეორედ მისთვის, რომ სუნდუკიანცის და საგარლის პიესები არა-ერთხელ უნახავს ჩვენს საზოგადოებას, მესამედ მისთვის კიდევ, რომ ამ ავტორების საუკეთესო პიესებთ არ ჩაითვლებიან წარმოდგენილი პიესები; ეს გარემოება მით უფრო შესაძინევი შეიქმნა, რომ ბ. სუნდუკიანცი მართებულად არ მოიქცა და საზოგადოებას მადლობა მსტროვსკის ღოჭილად გარდაუხადა. მსრეთი შესაბამო საქციელი ბ. სუნდუკიანცს ბევრმა უზრდველობაში ჩამოართვა, და ჩვენ ვფიქრობთ, რომ სრულიად სამართლიანათაც.

ს. ნა—ლი.

უცხოეთი

მუსთარ-ფაშა თავის მინდობილების შესახებ ანაფერს არ ამბობს; იმას მხოლოდ ის უთქვამს, რომ თსმალეთს ანაფისთან კავშირის დაჭერა ანა სურსო, იმას სწადიან ყოველ სახელმწიფოსთან მეგობრული დამოკიდებულება იქონოსო. ეს აზრი თსმალეთისა ფრად მოსწონება რუსეთის რეპრეზენტის გაზეთს «ნოდის», რომელიც ბრიუსელში გამოდის რუსეთის საზოგადოებას, და აცხადებს, რომ თუ თსმალეთი მართლად ამ პოლიტიკას მიჰყვება, ეს იმის ნიშანი იქნება, რომ აღმოსავლეთში მუდრეობა დამყარდება და თუ იქ მუდრეობა დამყარდება, კერძო საზოგადო მშვიდობიანობასაც ანაფერი არ შეაწყვესო. ეჭვი არ არის, რომ თსმალეთის ამ გზამ მთქმედება ზოგაერთა ნეკეტურს და ავსტრიულს გასეთებს ანაფრად ეჭვნიკებათ, მაგრამ ესეც უნდა ვსთქვათ, თსმალეთი სხვა ნაირად რომ მოქცეულიყო, ე. ი. დაედა კავშირი ავსტრიასთან და გერმანიასთან, მაშინ მას უნდა უარ ეყოთავისი «უზენაესი უფლებანი», რომელიც მას ბოსნიასე და ბერლინისაზე აქვს მიწიკებული. ამის გამო ავსტრიის და გერმანიის ძალაზე რომ უნდოდეს, თსმალეთი არ მოინდობებს მათთან კავშირსა, — სტამბოლში იქამდინ ვიდევ უჭრით ჭკუა, რომ იგრძნონ, რა შედეგად მოსდევს ამ კავშირსაო. ძალაზე სისამოვნოა, რომ ეს კავშირი არ მოსდა, რადგანაც ის იმას მოასწავებდა, რომ ბაღანის ხაფანთ თვით-ასიუბობა, თაყაუფლება, რომელიც მათ უკანასკნელმა ომმა მიანაჭა, უნდა დათრგუნდიყო, შემოსრულიყო. ამ კავშირს თან მოჰყვებოდა ხალი კრიზისი და რომ არ მოხდა, ამით ბევრი მოიგო კერძო საზოგადო მშვიდობიანობამაო.

მუსთარ-ფაშას ერთი გაზეთის კორესპონდენტთან ვიდევ შედეგი უღაზანია თსმალეთის საქმეების შესახებ: «ბერლინის ტრაქტატი ჩვენ ვაღებულად გვხდის თსმალეთში ცვლილებები მოვხდინოთ, მაგრამ ამ საქმის შესახებ ჩვენ ის ვაჭიროებთ ვადაკვებობა წინ, რომ არ ვინით, სადა არის თსმალეთი?»

თსმალეთის სამხედრო-სამედიკალური-პოლიტიკა არც ერთი წინადადებასაც ვადაკვებობა; ამის გარდა ვიდევ ვხედავთ ის აზრს, რომ ანაფისით არ შეიძლება თსმალეთის სამხედრო-პოლიტიკის განმარტა ის, — ამისათვის, რომ თსმალეთის ძველი სამხედრო სპირად იტყუებოდა და ის, რასაც ჩვეულებრივ თსმალეთს ეძახიან, შეიძლება რუსეთში და სხარსეთში უფრო მალე მოხსნას ვადა, ვიდრე თსმალეთში. თსმალეთის თსმალეთში მამამდინები მეტნი არიან სხვა ხაფანებზე, ე. ი. ბერლინზე და სხვებზე. საკუთრივ თსმალეთი შეადგენს იქ მცხოვრებლების მეოთხედ ნაწილს, მაშინ თსმალეთს თურქები ნახევარს ნაწილს შეადგენენ. განიკები ვივლა ხაფანისთვის ერთი და იგივე უნდა იყოს. ჩვენ ძალას ვადაკვებობთ, მაგრამ მართლ თსმალეთში რადა და სხვა გან ვადა? ის სულ სხვა იქნება, ჩვენი კეთილის მეოთხედნი, რომ ვიკინეკენ ვივლას ბრავინცებში ცვლილებების მოხდენას; უნდა დაგარწმუნოთ, რომ სულთანი დიდი ხანია, იღწვის ამ საქმისათვის, განსაკუთრებით, აღმინისტრატული წესის შეცვლისათვის. თვით სულთანის მიწვევლიც იმ აზრისანი არიან, რომ მანებელი და დამლუპველი იქნება მართლ ერთს ბრავინცებში ცვლილებების მოხდენაო. მე თვითონ ორჯერ ვივლა თსმალეთის გენერალ-გუბერნატორად და ვივლას დონის-ძიებას ვხმარობდი იქაური საქმეების გაუმჯობესებისათვის, მაგრამ საზოგადოდ იქაური მდგომარეობა უფრო უკეთესად შეჩვენა, ვიდრე სხვაგან სადმე; იქ ვივლას საწმინდობის აღმოსრულიებელთ სრული თავისუფლება აქვთ მიწიკებული; ყოველს ხაფანს ჭყავს თავის წარმომადგენელი აღმინისტრატისში. განა ესევე შეიძლება ვთქვათ რუსეთის ან სხარსეთის თსმალეთის შესახებ? თვით თსმალეთს ვკითხონ და ისინი იტყვიან, რომ თსმალეთში უკეთესად არიან, ვიდრე სხვაგან სადმე. მართლაც, ისინი უნიკონ ზოგაერთა აღმინისტრატული ხაფანელებსა და იმას ვიდევ, რომ გარეთ სისარული საშიშოა მაგრამ ახა ახლა ზოგაერთა კერძო უფოს სახელმწიფოების მიხედვით მერწმუნეთ, იქ უფრო საშიში იყო რეინის გზების გამართვამდინ, ვიდრე თსმალეთში. რა წამსვე რეინის გზები გამართება, მაშინვე საქმის მდგომარეობაც გასწორდება, გაუმჯობესდება და მმართველობაც შეიძლება; ანაფანი განდევნოს, ამწყვიტოსა. შედეგ მუსთარ-ფაშამ სთქვა, რომ ესეც თსმალეთში მღეჯარება არის ჩამოვარდნილი, მაგრამ ამის მიხეცა ვა არ ახსნა. «ჩვენზე ვადაკვებოთ სადა ვადაკვებობს თსმალეთს? — სთქვა მუსთარ-ფაშამ. — რუსეთის და სხარსეთის თსმალეთი დანატრის თსმალეთის თავისთ თანამოქმეთ. მე თამამად შემიძლიან ვსთქვა, რომ თსმალეთის და საზოგადოდ ვივლას ქვეშევრდომების ინტერესები ისე ძვირად არავის მიანია, როგორც სულთანსა. ის ვედ-მიწვევით სწავლობს რეპორტებს, მაგრამ ვერ სწავრობა ფული და იმედია, რომ თსმალეთის მდგომარეობა ამ მხრივაც მალე გაუმჯობესდება».

ამ ცრუტა სანში ინგლისის ულნი
 ღორღი დიქერინი უოფილას სასახლეში
 და სულთანის თითქმის ერთი საათი
 ჰქონდა საუბარი. ამ საუბრის დროს დი-
 ქერინს გამოუცხადებდა სულთანისათვის,
 რომ იმას ძალიან სამწუხაროდ მიაჩნია,
 რომ სულთანი უგონებს ინგლისის
 მტრებს და სჯერა, ვითომც ინგლისი
 ოსმალეთის მტრადღეს, მაშინ როდესაც
 მას ისე არსად სურებდა თავის უწინ-
 დელს მოკავშირე ოსმალეთთან მეგობ-
 რობა, როგორც ამ ვაჟად. თვით ინგ-
 ლისის ხალხისათვის საზოგადოდ ოს-
 მალეთის არსებობა და კეთილდღეობა ერთს
 უსაჭიროებს წინაშის საგანს შედგენს
 და გულმხურვალედ სურს მისი განძლე-
 რება და წარმარება. ინგლისის მიმარ-
 თებლობა თავის მხრივ ყველა საშუა-
 ლებს სმარობს ოსმალეთის დიდებისა
 და კეთილდღეობისათვის. ამ წინასიტყ-
 ვობის შემდეგ დიქერინი გადავიდა ბერ-
 ლინის ტრაქტატის შესრულებულ მუხ-
 ლებზე და უთხრა სულთანს, რომ ოს-
 მალეთი ტყუილად იფიქრებს, ვითომც
 ამ მუხლებს შესრულებით ეერობას სარ-
 კებლობის რამე უშუაბოდღეს; მათი
 შესრულება თვით ოსმალეთისათვისვე არის
 საჭირო, რადგანაც მთლად მისი მომ-
 ვალი, მისი ბედ-იღბალი, თითქმის მისი
 არსებობაც კი ბერლინის ტრაქტატის ამ
 მუხლებზეა დამოკიდებული. ამის შემ-
 დგ ღორღმა ზოგადი მოხდა თავის
 ქვეყანას იმაში, რომ ის იმულებული
 შექმნა ჩარეული ოსმალეთის საქმეებ-
 ში, მაგრამ ჩაერა იმისათვის, რომ იმას
 სურს ოსმალეთი იქამდის განძლეოდღეს,
 რომ შეეძლოს ინგლისის მის ძალას თვი-
 სი ძალაც შეუერთოს და შეერთების
 ძალით დაიგვას იგი მტრებისაგანა. ამას
 ღორღმა ისიც დაუფიქრებდა, თამამად
 გამოუცხადა სულთანს, რომ მისი ეერო-
 ბიული სამფლობელოს სამიწველი ძლიერ
 დაფიქრებულია და აღარავითარი იმედი
 აღარ უნდა გქონდეს ეერობიულს ოსმალეთ
 ზედალ. სწორედ ეს მოსაზრება მიხედა,
 რომ ინგლისი ძალას ატანს მას აზიურს
 ოსმალეთში და, განსაკუთრებით სომხეთ-
 ში, ცუდილებების მოხდენის შესახება.
 ოსმალეთის მთლად თავის უურადღება ეს-
 ლა მარტო თავის აზიურს პროვინციებს
 უნდა მიახერხოს, რადგანაც მის სამფ-
 ლობელს ეერობიული ნაწილი თითქ-
 მის ხელიდან წასულია. შემდეგ დიქერ-
 ინმა აუწერა ოსმალეთის აზიური პრო-
 ვინციების არა-სახარტული მდგომარეობა
 და, სხვათა შორის, უჩვენა იმ ფაქტზე, რომ
 სამჯერო ნაწილი და საზოგადოდ აღმინ-
 სტრანია სრულიად გამოუსადეგად არიან
 იქ მოწყობილი; მსაჯულნი უნიჭონი,
 მოქმთამენი და სხვებით დატვირთნი არიან-
 ნო; აჯანყება რადაც დაწყებულია გარ-
 დაიქცა იქა; რასაც მმართველობა ეერ ახ.
 დეკინებს მცხოვრებლებს, იმას აჯანყნი
 ართმევენ ძალადობითა; გარდასახადი
 შეფარებული არ არის მცხოვრებლების
 შემდგომსათვის და ეს არის მიზეზი იმ
 გარემოებისა, რომ 1870 წლიდან მცხოვ-
 რებლები დღით-დღე ღარბდებიან და
 სასულდმოფილო შემოსავლიც კლებულობს;
 მოსულები დიდდამ დაწყებული პატარამ-
 დინ სულ ერთიანად მოქმთამენი, უნიჭონი

და უკველ მხრივ გამოუსადეგნი და უკარ-
 გისნი არიან და ტყუილ-უბრალოდ
 ჯამაგირებს იღებენ; რასაკვირვებია,
 რომ ამისთანა აღმინსტრანციის ხელში
 არც ერთს მოსაზრე არსებს ცხოვრება
 არ შეეძლოს. ამის შემდეგ დიქერინმა
 საუბარი ეერობიულს ზოლიტიკაზე გა-
 დაიტანა და უთხრა სულთანს, რომ ეს
 ზოლიტიკა ისეთს გზას ადგას, რომ
 ოსმალეთი თავის სამფლობელს ეერო-
 ბის ნაწილს კვლავს უშეუღეს და ისე
 ისა სჯობს, მარტო აზიის პრო-
 ვინციების დასაცავად იზრუნოს; ამი-
 სათვის უთუოდ საჭიროა, რაც შეიძლე-
 ბა ძალე, იქ აღმინსტრანციული ცვლი-
 ლებები მოახდინოს.

ამ საუბარს სულთანი ისე აუღელე-
 ბია, ისე შეუშფოთებია და შეუშინებია,
 რომ სავიწველი აღარ არის ამის შემ-
 დგ, მართალი იყოს ის ამბავიც, რო-
 ძელსაც უჩანსკენლად მოსული გასეთე-
 ბიდან ვტუობილობთ და რომლიდანაც
 სჩანს, რომ სავიწველი ულნიც ჰქო-
 ნია აუდიენციას სულთანთან და ამ უკა-
 ნასკენლს ღანაჩაში უგრძობინებია ელ-
 ჩისთვის, რომ იმან შესცვალა თავისი
 განზრახვა გერმანიასთან და ავსტრიას-
 თან შეკავშირებისა და ესლა ისე უწინ-
 დელს ზოლიტიკას უბრუნდეს, ე. ი.
 მას განზრახვა ჰქვს ინგლისს და ს-
 ფრანგეთს შეუერთდეს.


განხილვანი

თბილისის მეორე უნივერსიტეტი შუა
 ბაზარში არის ქირით გასაცემი სირა-
 ჯის დუქანი, კარგათ გამართული თა-
 ვის პაღვლით; ვისაც ნებაღეს დაიჭი-
 როს, მოვიდეს პატრონთან ქერიე
 მარიამ ტერუნოვთან მოსარბებლად.
თაწმინდის მოედანზე ქობერძის სახ-
 ლი № 2. (1-1)

გამსესხებელი კასა
ბრიგოლ ბარამოჰისა და კოკა.
 ამით აცხადებს, რომ ამა კასის
 წინ მუთაისში, 15 და 25 ნოემბერს,
 გაისყიდება ქალაქის აუკციონისტების
 ხელით, ის გირაობები, რომელიც არ
 გამოუხსნიათ ორის თვის შეღავათის
 მიცემის (ლოგოტის) შემდეგ, ოქრო-
 სი, ვერცხლისა და სხვა-და-სხვა ნიე-
 თები. (10-1)

მივიღეთ ბევრი ფოშტის ქალაღი,
 რიფისისა და ბევრი სხვა ნაირი კონ-
 ვერტებით, აგრეთვე რკინის კალმები,
 კლეონკები, თეთრი მეტალის ფოდ-
 ნოსები, ტუალეტის საპონი, ჩიი 1-ს
 მოკრეფისა და სხ. სულყველაფერი
 25%-ით უფრო იათად იყიდება, ვიდ-
 რე სხვადან საღმე ინგლისურს მალ-
 ზიებში. იქვეა ზოგიერთა კაცის ტან-
 საცმელიც, დრაფი, ტრიკო და სხვა.
 ამეგზოც ფასი ძალიან დაეთმობათ
 მყიდველებს. (10-8)

ინგლისური რკინის კარავოტები



ერთის საწოლი 7 მანუიღვან და
 ორის საწოლი 14 მანუიღვან, მათი
 ღებები, ზღვის ბალახით გატენილი 5-
 ღვან 8 მანუიღვან. კიდევ შემდეგი ნიე-
 თები იყიდება 25%-ით უფრო იათად,
 კიდევ სხვანს საღმე: ბრიტანის მეტა-
 ლის ნიეთები, ჩაღნები, სავარაქე, ს-
 მაქრე, ჩაღსა და სტოლის გოგნები ჩანგ-
 ლებითა, ფაღხისა, დასადგმელი, ჰირის-
 საბანი, სტაქნები, სუფოგნები, საწურ-
 გები, რიფები, გარფინები, სავარაქე,
 თეფები, ბლუღები, სასალათები, ტაშ-
 ტები, სარძევეები, სამარღიები, განი-
 ცის საფეხები, უნაგირები კაცისა და
 ქალისა, აღვრები, ხლისტები, ტანის-
 მოსის დასავიღებლები, საბაღო მარატ-
 ლები, ვაქსები, უთოები, წისკვილები,
 სურნები, ქლიბები, კლიტები, ინგლისის
 თაფები და რეოლოგები, ჰიუები, წა-
 რიღები, კასიოლები, საფანტები, ნაჩ-
 ბები, ვატერპოტები, საბნები, ხელქები,
 წინღები, სუფრები, საღმეტებისათვის
 რგოლები, ემადიანი ჭურჭელი, მურა-
 ბები, გამფეტები, ჰიულები, სოუსები,
 ზღვის ბალახი, დიმიკოტონები და სხ.
 ინგლისურს მალაზიებში №№ 156,
 157, 158, 159 და 160. ამ ნომრებს
 უურადღება მიქცეით. (100-9)

გაიხსნა ჭილიღლის
ინგლისური
საღმე
 ხარფებში შეითან ბაზარში.
 (3-3)

ინგლისის მალაზია
 Maison de confiance

შუადრეო ჩევი ჩიი	ნოსკოვის ჩიი
1 მ. 10 კ.	1 მ. 40 კ.
— — 1-20	— — 1-60
— — 1-40	— — 1-80
— — 1-60	— — 2 — „
— — 1-80	— — 2-50
საუფეთესო 2 — „	— — 3 — „

იქვე იყიდება სხვა საქონელიც თა-
 ფები, რეოლოგები, გრაფიტი, ჭურ-
 ჭელი, ჩაღნები, გასადგმები, დაღნები,
 გოგნები, ტაშტები, კალმები, ქალაღი,
 შოკოლადი, კაგაო, კანფეტები, მურაბე-
 ბი, მანგუნა, უნაგირები, კლეონკა,
 წინღები—კაცის და ქალის, ხელ-სახო-
 ტები, მავინტოშის გაღენგორი—სულ
 ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფ-
 რე იათად, კიდევ სხვა რომელსამე მა-
 ღაზიაში.
 ვინც ქალაქს გარდამ 25 მანუიღვან
 1,000 მანუიღვან საქონელს გამოი-
 წერს, გასაღზაგანს არაფერს არ ის-
 ღას. (100-55)

ინგლისის მალაზიაში

თიის - ანოჰუანი
 ამავრებს თმას და აღრინდელ
 ფერს აძლევს, ფასი ერთი მუმი-
 სს 2 მან., გაგზავნიით 2 მანეთი
 და 28 კაზ.
 (100-55)



გაკ - გასტარი
 აქვე იყიდება ქინის ზომად-
 თმების გასამავრებლად. ფასი 1
 მან. სხოტკები თავის ტკივილის
 მოსასპობლად, ტუალეტის სა-
 პონი, ღუსები და სხვ.

გაზანღა
 ხორაღისა, რომელიც იყიდება თბი-
 ლისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-
 და-ხელ 1 ოქტომბრიღამ 1 ნოემბრამ-
 დე 1883 წ.
 გამომცხვარი ზური რუ-
 სთის ფქვილისა — — 1 გარ. 5 კ.
 აქაურის ფქვილისა: ჰირ-
 ველის ხარისხისა — — 1 გ. 2 1/2
 მეორისა — — 1 გ. 2 კ.
 იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი
 პირველის ხარისხისა — 1 გ. 5 კ.
 მეორისა — — 1 გ. 3 კ.
 მესამისა — — 1 გ. 2 1/2
 ჯვარის-მამის ზური:
 პირველის ხარის. ღაგში 1 გ. 5 კ.
 მეორის ხარის. ღაგში 1 გ. 3 1/2
 მესამისა — — 1 გ. —
 ძრახის ხორცი:
 პირველის ხარისხისა — 1 გ. 8 კ.
 მეორის — — 1 გ. 7 კ.
 სუგა . . . — 1 გ. 15 კ.
 ცხვრის ხორცი — 1 გ. 8 კ.

რკინის გზა
 თბილისიღამ ქუთაისისკენ მიღის
 8 საათზეღ და 31 წამ. დიღით.
 თბილისიღამ საშურამღინ
 3 საათ. და 11 წამ. შუაღლის უკან.
 თბილისიღამ ბაქოსკენ
 11 საათზეღ და 11 წამ ღამისა.
 ბაქოღვან თბილისისკენ
 10 საათზეღ და 23 წამ. დიღისა.
 ქუთაისიღვან თბილისისკენ
 12 საათ. და 25 წამ. შუაღლ. უკან.
 ქუთაისიღვან ბათუმიღსა და
 ფოთისკენ
 5 საათზეღ და 20 წამ. შუაღლის უკან.
 ბათუმიღვან თბილისისკენ
 8 საათ. დიღისა.
 ფოთიღვან თბილისისკენ
 8 საათ. და 45 წამ. დიღისა.
 ფოთიღამ ბათუმიღამ მომავალი
 თბილისში შემოღის
 10 საათზეღ და 25 წამ. ღამისა.
 ბაქოღამ მომავალი შემოღის
 თბილისში
 7 საათ. და 49 წამ. დიღისა.